ვულოცავთ

ჩვენი ასოციაციის წევრს, დავით ჩიკვაიძეს, გარემოსდაცვითი მიმართულების სტიპენდიით დაჯილდოვებას.

„მწვანე სტიპენდიების“ პროგრამა ხორციელდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფართომასშტაბიანი ინიციატივის ,,კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში" ფარგლებში, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), საქართველოს, შვედეთისა და შვეიცარიის მთავრობების მხარდაჭერით.

„მწვანე სტიპენდიების“ პროგრამა, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს, ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაციასა და წარჩინებული სტუდენტების წახალისებას.

საქართველოს 8 უნივერსიტეტიდან 1500 ლარიანი სტიპენდიით გარემოსდაცვითი მიმართულების 32 სტუდენტი დაჯილდოვდა.

(მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი დავით ჩიკვაიძე).

როგორც გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში (UNDP), ნიკ ბერესფორდმა ღონისძიებაზე აღნიშნა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, გარემოს დაცვით სფეროში მეცნიერული მიმართულება არის უაღრესად აქტუალური და მთავრობის მხრიდან ასეთი მხარდაჭერა ხაზგასმით მისასალმებელია.

იხილეთ ვრცლად

- *დაჯილდოვების ვიდეო*
- *გამოხმაურება პრესაში*